პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 20 სექტემბერი, 1942 წ. № 224 (6540). ფასი 15 კაპ.

საბჭოთა პატრიოტები ბოლშევიკთა პარტიის რიგებში შედიან

მძიმე განსაცდელი ხვდა წილად ჩვენს სამშობლოს. ჰიტლერელი ყაჩაღები ემუქრებიან საბჭოთა სახელმწიფოს თვით არსებობას. სწარმოებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. მრისხანე საფრთხის წინაშე, რაც ჩვენს ქვეყანას თავს დასტრიალებს, კიდევ უფრო მჭიდროდ შეერთდა საბჭოთა ხალხი ბოლშევიკთა პარტიის—თავისი გამოცდილი ხელმძღვანელის გარშემო.

...ლება პარტიული რიგების ზრდით. მაგალითად, მასლენიკოვის სახელობის ქარხანაში (კუიბიშევის ოლქი), ზლატოუსტის მეტალურგიულ ქარხანაში (ჩელიაბინსკის ოლქი), იაკოვლევის სელის კომბინატში (ივანოვოს ოლქი) მეორე კვარტალში პარტიაში ცოტაა მიღებული პარტიის ახალი კანდიდატები, განსაკუთრებით წამყვან პროფესიათა მუშები...

...რომ ისინი მედგარი, მამაცი, სამშობლოსადმი, **ლენინ-სტალინის** პარტიისადმი უსაზღვროდ ერთგული მებრძოლნი არიან.

მნიშვნელოვნად გაიზარდნენ პარტიული ორგანიზაციები მთელ რიგ სხვა ოლქებშიც. ამასთან ერთად არიან ისეთი პარტიული ორგანიზაციებიც, სადაც ჩვენი ხალხის უდიდესმა პოლიტიკურმა და საწარმოო აღფრთოვანებამ ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა თავისი საკმარისი გამოხატუ-...

...კარი ღიაა იმ ადამიანთათვის, რომელნიც **ლენინ-სტალინის** საქმის უსაზღვროდ ერთგულნი არიან, რომელნიც მთელ თავის ძალებს საბჭოთა ქვეყნის დაცვას ანდომებენ.

უფრო მაღლა ავწიოთ **ლენინ-სტალინის** დროშა! იგი ჩვენს პარტიას, ჩვენს ხალხს მიიყვანს გერმანელ ფაშისტ დამპყრობებზე გამარჯვებამდე!

„პრავდის“ მოწინავე, 19/IX.

ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა მიიღო ირანის ელჩი ბ-ნი მ. აჰი

19 სექტემბერს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის თანდასწრებით მიიღო ირანის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი მ. აჰი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

19 სექტემბრის დილის ცნობა

18 სექტემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან **სტალინგრადის** რაიონში და **მოზდოკის** რაიონში. სხვა ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

სტალინგრადის ჩრდილოეთ-დასავლეთ გარეუბანში გრძელდებოდა გააფთრებული ბრძოლები. N ნაწილმა მოიგერია მტრის რამდენიმე იერიში და მოსპო გერმანელთა 4 ტანკი, 3 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი და გასწყვიტა 200-ზე მეტი ჰიტლერელი. გერმანელებმა ორჯერ(?) ...ხის სცადეს ხელთ ეგდოთ ჩვენი პოზიციები, რომლებიც ერთი მნიშვნელოვანი ობიექტის მისასვლელებს იცავს...

...დაიკავეს დავალებულ მიზნებს. ნავსადგურში ხანძრის ხუთი კერა გაჩნდა და 6 ძლიერი აფეთქება მოხდა.

* * *

281-ე დამცველი დივიზიის 704-ე პოლკის პირველი ასეულის ტყვე ეფრეიტორმა იოსებ მარკოვეცმა განაცხადა: „ერთი სოფლის ბურგომისტრმა კომენდანტს ლეიტენანტ იანსენს პოლიციელი გამოუგზავნა მოხსენებით. ბურგომისტრი იტყობინებოდა, რომ პარტიზანები მასზე თავდასხმას ამზადებენ და სთხოვდა მფარველობას. იანსენმა სოფელში გაგზავნა 10 ჯარისკაცი და ფელდფებელი ერნსტ მოტიგი. მეც ამ ჯგუფში მოვხვდი. პარტიზანები, ალბათ, თვალყურს გვადევნებდნენ...

...ქმედებას ეწეოდნენ და რამდენადმე შეავიწროეს მოწინააღმდეგე. ერთი დასახლებული პუნქტის გარეუბანში გაჩაღდა ბრძოლა, რომლის მსვლელობაშიც გერმანელებმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით რამდენიმე ასეული ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგეს.

ჩვენი მესანგრეების ჯგუფმა ამხ. გალის მეთაურობით რეიდი მოახდინა მტრის ზურგში. მესანგრეებმა ააფეთქეს რკინიგზის ხიდი მაგისტრალზე, რომლითაც გერმანელებს მაშველი ჯარი გადაჰყავდათ. რკინიგზაზე რამდენიმე დღის განმავლობაში მოძრაობა შეწყვეტილი იყო.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის მფრინავებმა ღამის თავდასხმა მოახდინეს მტრის ნავსადგურზე. ჩვენმა მფრინავებმა გადაალახეს მძლავრი საზენიტო ცეცხლი და ბომბები...

...კიფოროვის სახლში შეიპყრეს მძიმედ დაჭრილი წითელარმიელი ივანე ნიკოლოზის-ძე ოზეროვი. ჰიტლერელმა ბანდიტებმა დაჭრილი მებრძოლი ცოცხლად დამარხეს მიწაში. იმისათვის, რომ გლეხმა თავის სახლში თავშესაფარი მისცა დაჭრილ წითელარმიელს, ფაშისტებმა დახვრიტეს ნიკიფოროვი, მისი ცოლი და მათი სამი შვილი.

* * *

ტრონჰეიმში (ნორვეგია), რკინიგზის ურილის ჩამონგრევის შედეგად, რომელიც რამდენიმე ადგილას ნაღმებით იყო აფეთქებული, დანგრეულია რკინიგზის ლიანდაგი. მატარებელთა მოძრაობა შეჩერებულია. უკანასკნელ დროს ნორვეგიელმა პატრიოტებმა ტრონჰეიმის რაიონში მოახდინეს აგრეთვე რამდენიმე დივერსია გერმანელების მიერ დაკავებულ სამრეწველო საწარმოებში.

19 სექტემბრის საღამოს ცნობა

19 სექტემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ გააფთრებულ ბრძოლებს მტერთან **სტალინგრადის** რაიონში და **მოზდოკის** რაიონში.

მოზდოკის რაიონში წარმოებულ ბრძოლებში მოკლულია გერმანელთა პირველი სატანკო არმიის სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ფონ კლაისტი.

სხვა ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

18 სექტემბრის განმავლობაში ჩვენი ავიაციის ნაწილების მიერ ფრონტის სხვადასხვა უბნებზე მოსპობილია ან დაზიანებულია გერმანელთა 12 ტანკი და ჯავშნიანი მანქანა, 70 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩახშობილია საველე და საზენიტო არტილერიის 10 ბატარეის ცეცხლი, გაფან-...

* * *

წითელი არმიის მხარეზე ნებაყოფლობით გადმოსულმა გერმანელმა უნტერ-ოფიცერმა ავგუსტ დ-მ განაცხადა: „გერინგი ოდესღაც ამბობდა, მოწინააღმდეგის ვერც ერთი თვითმფრინავი ვერასოდეს ვერ მოაღწევს გერმანიამდე. გერინგი ირწმუნებოდა, გერმანიაში არც ერთი ბომბი არ იქნება ჩამოგდებულიო. გულუბრყვილოებსა და სულელებს სჯეროდათ მისი. მაგრამ ყოველივე ეს ბაქიობა და სიცრუე აღმოჩნდა. გერმანია ამჟამად ავიაციის უფრო მეტ თავდასხმებს განიცდის, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანა მსოფლიოში. ამასთან დაკავშირებით იზრდება ომითა და ჰიტლერული რეჟიმით უკმაყოფილება. მე ველაპარაკე ბრემენიდან, კელნიდან, კენიგსბერგიდან და სხვა ქალაქებიდან ლტოლვილებს. მათ მაცნობეს, რომ...

...სექტემბრის დამდეგს პარტიზანთა ჯგუფმა პსკოვ-ლუგის რკინიგზის უბანზე მოაწყო მარცხი გერმანელთა ეშელონისა, რომელიც ფრონტზე მიდიოდა. დამსხვრეულია 12 პლატფორმა ტანკებიანად და 16 ვაგონი. ამ გზის სხვა უბანზე პარტიზანებმა ლიანდაგიდან გადაავდეს სამხედრო ეშელონი. მარცხის შედეგად მოკლული და დაჭრილია ბევრი გერმანელი ოკუპანტი.

...ნელი ოკუპანტების კოშმარულ ბოროტმოქმედებათა შესახებ კავკასიურ-მუსლიმანურ სოფელ კიზბურუნში“.

აქტს ხელს აწერენ კოლმეურნეები მუსა ალბაგაჩიევი, ჰუსეინ მუცოლგოვი, ოსმან ოეიგოვი, ვისა ხარაჩიევი, კეხა კოკიაევი, ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ხალიდ მურადოვი, ინგუში მწერალი იდრის ბაზორკინი და სხვები, სულ 28 კაცი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ლატვიის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ა. მ. კირხენშტეინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ლატვიის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ა. მ. კირხენშტეინის** დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით და თვალსაჩინო დამსახურების აღსანიშნავად, რაც მას მიუძღვის ლატვიის ხალხისა და მთელი სსრ კავშირის ხალხთა წინაშე, განსაკუთრებით ლატვიაში საბჭოთა ხელისუფლების შექმნაში, დაჯილდოებულ იქნას ამხ. ავგუსტ მარტინის-ძე **კირხენშტეინი ლენინის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1942 წლ. 17 სექტემბერი.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოში

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა:

I

1. სამსახურის მოვალეობის შესრულების დროს ...

2. არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ ამხ. ვასილ გიორგის-ძე **კორნილოვ-დრუგოვის** ...

წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

ყოველდღიურად გავაძლიეროთ ფრონტისადმი დახმარება

მკერავთა შრომითი ენთუზიაზმი

თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკამ აგვისტოს თვისა და სექტემბრის ნახევარი თვის საწარმოო გეგმები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა. ფაბრიკის კოლექტივი ერთსულოვნად ჩაება წინასაოქტომბრო სოცშეჯიბრებაში და აიღო ახალი დამატებითი ვალდებულებანი. ფაბრიკა სექტემბერში აგვისტოსთან შედარებით 20 პროცენტით მეტ მზა ნაწარმს გამოუშვებს, შრომის ნაყოფიერებას გაზრდის 3 პროცენტით, სექტემბერში პროდუქციის თვითღირებულებას შეამცირებს 2,5 პროცენტით, ხოლო ოქტომ-...

ახალი კონკრეტული ვალდებულებანი აიღეს აგრეთვე ... მუშებმა. პირველმა და მესამე მეკერავეთა საამქროებმა იკისრეს სექტემბრისა და ოქტომბრის დავალება შეასრულონ 105 პროცენტით, გასწიონ ელექტროენერგიისა და დამხმარე მასალის ეკონომია.

ცვლის ოსტატმა ამხ. ბურბუტაშვილმა განაცხადა, რომ მისი ცვლა თვიურ დავალებას 115 პროცენტით შეასრულებს. მეორე საამქროს მკერავმა ამხ. ...

...ხველრისათვის ახალი ძალით გააჩაღეს შეჯიბრება და აიღეს დამატებითი ვალდებულებანი.

ლენინის მაღაროს სტახანოველებმა კ. გიორგაძემ, ფ. კრასიკოვმა, გრ. კუპრაშვილმა, ს. გაბრიაძემ, ა. დარსაძემ, ე. დახუნდარიძემ, ა. გაბადაძემ და სხვებმა, რომლებიც მაღაროელთა სოცშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს 160-180 პროცენტით ასრულებენ, აიღეს დამატებითი ვალდებულებანი: სექტემბერში 200-250 პროცენტით გაანაღდონ...

...მიიღო გამოწვევა. შეჯიბრებაში ჩაება აგრეთვე მეშვიდე უბანი მეექვსე უბანთან.

დილის ცვლაში ლენინის ორდენოსანი ქარხნის მოწოდებას გაეცნენ აგრეთვე სტალინის მაღაროშიც. აქ დამატებითი ვალდებულებანი აიღეს მნგრეველებმა გ. გვენცაძემ, გ. გორგილაძემ, ისმაილ და პლატონ ობოლაძეებმა. დამატებითი ვალდებულებანი აიღეს და ერთიმეორესთან შეჯიბრებაში ჩაებნენ ს. გაბრიაძისა და პ. ნანიკაშვილის უბნები.

დ. საგელაშვილი

ბოჩო კვარაცხელიას ახალი წარმატება

წალენჯიხის რაიონის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ბოჩო (დავით) კვარაცხელიამ ჩაის კრეფის ახალი რეკორდი დაამყარა, 17 სექტემბერს 4.013 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა. მან ამ დღეს გამოიმუშავა 601 შრომადღე და მარტო ფულად მიიღო 2.407 მანეთი. მოკრეფილი ფოთოლი მთლიანად პირველი ხარისხისაა.

საქ. კ. პ. (ბ) წალენჯიხის რაიკომის მდივანი **ა. კვარაცხელია**

ვიბრძვით მაღალი სამხედრო მოსავლისათვის

თელავის მტს-ის კოლექტივი დროულად ჩაება მტს-ების სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ჩვენის მხრივ შეჯიბრებაში გამოწვეული გვყავს გურჯაანისა და ახმეტის მტს-ები. თელავის მტს-ის კოლექტივი ენერგიულად იბრძვის ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის, მტს-მა ნახევარი წლის გეგმა 155,8 პროცენტით შეასრულა. პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ, სსრ კავშირის მიწსახკომმა და სსრ კავშირის მიწსახკომის პოლიტსამმართველომ თელავის მტს-ი სცნეს პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს და სსრ კავშირის მიწსახკომის გარდამავალი წითელი დროშისა და ფულადი პრემიის მიღების კანდიდატად.

მტს-მა 207,7 პროცენტით შეასრულა მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა გეგმა, მოგვცა კარგი გამომუშავება ტრაქტორზე და დაზოგა 8 ტონა საწვავი მასალა.

სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად მტს-ის კოლექტივმა წარმატებით და ვადაზე ადრე შეასრულა კომბაინების რემონტი და კომბაინებით მოსავლის აღების გეგმა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.000 ჰექტარისა მოსავალი აღებულია 3.134 ჰექტარზე — გეგმა შესრულებულია 104,3 პროცენტით.

მოსავლის აღების გეგმის შესრულების საქ-...

...და უფრო მეტად შეასრულა გეგმა ტრაქტორისტმა ა. აბრამიშვილმა.

პარტიისა და მთავრობის დავალებათა და ნაკისრ ვალდებულებათა უკეთ შესრულებისათვის მტს-ში ფართოდ არის დანერგილი საწარმოო თათბირების მოწვევა. ამ თათბირებზე ირჩევა ცალკეული საწარმოო საკითხები.

გეგმების წარმატებით შესრულების საქმეში დიდი როლი ითამაშა აგრეთვე მტს-ის საბჭოს ჩამოყალიბებამ და მუშაობის გაუმჯობესებამ. მტს-ის საბჭოს სხდომებს ესწრებიან ჩვენი ზონის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირები. მტს-ის საბჭომ სხვა საკითხებთან ერთად განიხილა აგრეთვე მტს-სა და კოლმეურნეობებს შორის დადებულ ხელშეკრულებათა შესრულების შედეგები ცალკე სეზონების მიხედვით.

მტს-თან არსებულმა პარტიულმა ორგანიზაციამ საერთო კრებაზე ორჯერ განიხილა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების შესრულების მდგომარეობა. პარტიულ კრებაზე ფართოდ დამუშავდა კომუნისტების როლი ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების საქმეში. კრებამ გამოავლინა მთელი რიგი ნაკლოვანებანი და კომუნისტებს მისცა კონკრეტული დავალებები.

მტს-ის მუშაობაში ჯერ კიდევ ვხვდებით...

...რესპუბლიკაში:

თბილისის კონიაკისა და არყის ქარხანას,

მამათის ჩაის გადამმუშავებელ ფაბრიკას.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტეს აღნიშნონ კვების მრეწველობის საწარმონი, რომლებიც კარგად მუშაობენ, შეასრულეს სახელმწიფო გეგმა და მიღწევები აქვთ სოციალისტურ შეჯიბრებაში, მათ რიცხვში საქართველოს სს რესპუბლიკაში:

ანასეულის ჩაის ფაბრიკა,

დიდიჯიხაის II ჩაის ფაბრიკა.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურ საბჭოსა და სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატში

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატმა ფქვილ-ბურღულის მრეწველობის საწარმოების მუშაკთა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად სცნეს, აგვისტოში მეორე ადგილები მიაკუთვნეს და გადასწყვიტეს მისცენ მეორე პრემიები მთელ რიგ საწარმოებს, მათ რიცხვში საქართველოს სს რესპუბლიკაში თბილისის წისქვილკომბინატს (დირექტორი ამხ. მინდიაშვილი, პარტორგი ამხ. სამალეძე(?), ფაბქარხკომის თავმჯდომარე ამხ. კაზნარეევიჩი).

(16 სექტემბრის გაზეთ „პრავდიდან“).

წითელი არმიის უფროსთა და რიგითი შემადგენლობის დაჯილდოება სსრ კავშირის ორდენებით

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ფრონტის სამხედრო საბჭომ დააჯილდოვა:

წითელი დროშის ორდენით

1. კაპიტანი მიხეილ ისიდორეს-ძე **ბუხაიძე**
2. უფროსი პოლიტხელი ესტატე გრიგოლის-ძე **თომაშვილი**
3. პოლიტხელი გრიგოლ ერასტის-ძე **ხვედელიძე**
4. პოლიტხელი ივანე მალაქიას-ძე **შუბითიძე**
5. სერჟანტი ლეონ გრიგოლის-ძე **ბერია**
6. წითელარმიელი იოსებ ტარასის-ძე **კაკაურიძე**
7. უფროსი სერჟანტი ნოე ალექსანდრეს-ძე **ჩიჩინაძე**

მოქმედი არმია. (ჩრდილოეთ კავკასია). სურათზე: მსროლელთა ქვეგანაყოფი აშენებს სიმაგრეს მდინარის პირას.

ფოტო მ. ალპერტისა და მ. რედკინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ოსტატობითა და გმირობით ვამრავლოთ საბრძოლო წარმატებანი მტრის გასანადგურებლად

ჩვენი № ნაწილის პირადმა შემადგენლობამ გერმანელ ოკუპანტთა წინააღმდეგ ბრძოლების პირველი დღეებიდანვე გვიჩვენა მაღალი საბრძოლო წრთობა, მორალური სიმტკიცე. სამშობლოს საქმისათვის, გერმანელ დამპყრობთა განადგურებისათვის ბრძოლაში ჩვენი არტილერისტები მამაცობისა და გმირობის ნიმუშებს გვიჩვენებენ. ეს იღბალი კი არ არის, არამედ საუკეთესო შედეგია ადამიანთა მოთმინებითი, გულდასმითი ბოლშევიკური აღზრდისა, შედეგია მეომრების აღზრდისა ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, მტრისადმი — გერმანელ დამპყრობთადმი მრისხანე სიძულვილის სულისკვეთებით.

სწორედ ახლა, მრისხანე განსაცდელის დღეებში, სამხედრო კომისრის, პოლიტმუშაკის როლი განუზომლად გაიზარდა. ისინი პოლიტიკურად უზრუნველჰყოფენ საბრძოლო ბრძანების შესრულებას და პირადი მაგალითით უჩვენებენ, თუ როგორ უნდა ბრძოლა სამშობლოსათვის, ბრძოლა მტრის წინააღმდეგ.

ჩვენი № ნაწილის პოლიტმუშაკები ვ. ბირკაია, ი. ჯიმშელეიშვილი, გ. ბერიძე, ა. სურგულაძე, ლ. გელაძე, ჯიჯეიშვილი, მ. პატარიძე, ს. ჩადუნელი, ჯინჯიხაძე, გ. ძიძიშვილი და მრავალი სხვა პოლიტმუშაკი მთელ ძალ-ღონეს ახმარებენ იმას, რომ გაანადგურონ მტერი, პირადი მაგალითით აღაფრთოვანონ მებრძოლები ახალ-ახალი საგმირო საქმეებისათვის.

ჩვენმა პოლიტმუშაკებმა, პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა საბრძოლო ვითარებაში მოკლე ხნის განმავლობაში შეიძინეს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილება. მათი მრავალფეროვანი პოლიტიკური მუშაობა მიმართულია თითოეული შეტევის, თითოეული ბრძოლის პოლიტიკური უზრუნველყოფისაკენ და დაქვემდებარებულია ძირითადი ლოზუნგისადმი: „არც ერთი ნაბიჯი უკან! მხოლოდ წინ—მტრის გასანადგურებლად!"

ამჟამად ამ მოთხოვნის შესრულებას ემსახურება ბოლშევიკური აგიტაციისა და პროპაგანდის მთელი მძლავრი მრავალფეროვანი არსენალი—ბრძოლებს შუა ხანმოკლე დასვენების დროს ბატარიაში გამოშვებული საბრძოლო ფურცლით დაწყებული და მასობრივი მიტინგით, ან მიმდინარე ამოცანისადმი მიძღვნილი მოხსენებითა და ლექციით დამთავრებული.

ჩვენში აგიტაციის ყველაზე ძლიერ, ყველაზე დამაჯერებელ საშუალებას წარმოადგენს პირადი მაგალითი თვით პოლიტმუშაკის, თითოეული კომუნისტისა და კომკავშირელის სიმტკიცისა და მამაცობისა. ისინი აღაფრთოვანებენ და გაიყოლიებენ ხოლმე დანარჩენთ. ჩვენი № ნაწილის მებრძოლები საქმით ადასტურებენ თავიანთ ერთგულებას სამშობლოსადმი. გმირულად იბრძოდნენ ჩვენი სამშობლოსათვის კომუნისტები კობრეიძე, კოტრიკაძე, ჯორბენაძე, არაპარტიული ბოლშევიკები — გორდაძე, ქარჩავა, ნოზაძე.

ჩვენი № ნაწილის პირადი შემადგენლობა აღფრთოვანებულია მებრძოლ არტილერისტ ნიკოლოზ ფაცაციას გმირობით. მისი გმირობის შესახებ მწერლებმა დასწერეს ლექსები; არმიული გაზეთები მებრძოლ ფაცაციას საბრძოლო გამოცდილების ფართო პოპულარიზაციას ეწევიან.

ფართოდ ცნობილია აგრეთვე იმ საარტილერიო ქვეგანაყოფთა მებრძოლების, მეთაურებისა და პოლიტმუშაკების საგმირო საქმეები, სადაც მეთაურებად არიან ა. პირმისაშვილი, ს. თომაია, გ. მურაჩი, ს. ტონია, ო. როინიშვილი, ა. ჭელიძე, ი. ჭელიძე, გ. მაჩაბელი, უმიკაშვილი, თოხაძე, არჩაია, ჩაჩანიძე, ქაბუკიანი, კოდუა, ხუჭუა, წოწონავა, დოლაბერიძე, ცხადაძე, პირველაშვილი და სხვანი. ცნობილია ის გუნდებიც, სადაც ქვემეხების მეთაურებად და მემიზნეებად არიან ქემაშვილი, ქვათაია, სტურუა. ბექაური, ჩაჩუა, ხანთაძე, გვასალია, ხურციძე, ცინცაძე, თოლორაია, ხაჩიძე, თვალებაშვილი, ბერიშვილი, კიზილაშვილი, თავბერიძე, ალანია, ხეცურიანი. ამ არასრული სია ჩვენი № ნაწილის მამაცი არტილერისტებისა, რომლებიც ერთსულოვანი შეტევითი აღტყინებით ამრავლებენ დიდებასა და საბრძოლო წარმატებას, რომლებმაც მოსპეს მტრის დიდძალი ტექნიკა და ცოცხალი ძალა. ამით ჩვენი გმირი არტილერისტები გზას უკაფავდნენ ჩვენს სახელოვან ქვეითს ჯარს. ფაშისტური სიბილწისაგან მათ გაათავისუფლეს თხუთმეტზე მეტი დასახლებული პუნქტი, ნანგრევებად აქციეს გერმანელთა დასაყრდენი გამაგრებული პუნქტები და წინააღმდეგობის ძლიერი კვანძები.

ჩვენი № ნაწილის პირადი შემადგენლობა მამაცურად იბრძვის ამ საბრძოლო წარმატებათა გასამრავლებლად და ამით აახლოვებს ვერაგ მტერზე გამარჯვებას.

მამაცი მებრძოლები და მეთაურები, სოციალისტური სამშობლოს ერთგული შვილები უდიდესი აღფრთოვანებით შედიან ლენინ-სტალინის პარტიაში. სექტემბრის თხუთმეტი დღის განმავლობაში პარტიაში მიღებულ იქნა მთელი რიგი ამხანაგები, რომლებმაც ბრძოლებში თავი გამოიჩინეს და რომელთა უმრავლესობა წარდგენილია მთავრობის ჯილდოზე. მათგან უნდა დავასახელოთ მთელი ჩვენი № ნაწილის საყვარელი ადამიანი, მისი მეთაური მ. ს. გეთია, რომელმაც საზიზღარ მტერთან, გერმანელ ოკუპანტებთან ბრძოლაში თავი გამოიჩინა როგორც საუცხოო არტილერისტმა, რომელსაც შესწევს უნარი ვაჟკაცურად ანადგუროს მტერი და მიაღწიოს გამარჯვებას მცირე მსხვერპლის გაღებით.

ვერაგი მტერი ცდილობს, დაიპყროს ჩვენი მშობლიური კავკასია. მაგრამ თავისუფალი კავკასიის ხალხთა თავზე აღმართული სისხლიანი ტორი გერმანელი დამპყრობლებისა მოკვეთილი იქნება. ჩვენ კარგად გვესმის, რომ სამშობლოს ბედი წითელი არმიის ხელშია და რომ ეს ბედი ახლა საბჭოთა სამხრეთში სწყდება. ამ ბედს ჩვენ გადავწყვეტთ ჩვენი სამშობლოს სასარგებლოდ მტრის სრული განადგურებით.

დაე იცოდნენ პირსისხლიან ჰიტლერელთა ურდოებმა, რომ კავკასიის მთები არა მარტო სილამაზის ბუდეა, არამედ, ეს ამაყი სალი კლდეები იქნებიან ის მძლავრი დაბრკოლება, რომელსაც შუბლს შეამსხვრევს ჰიტლერული გერმანია.

ქ. გვალია
ბატალიონის კომისარი
მოქმედი არმია. სამხრეთი.

სერჟანტ ნეფარიძის ნაღმმტყორცნელთა გუნდმა 20 ფაშისტი მოსპო

№ წითელარმიულ გაზეთში სერჟანტი ვ. სალოვი ამხ. ნეფარიძის ნაღმმტყორცნელთა გუნდის ბრძოლის ერთ-ერთ ეპიზოდს მოგვითხრობს:

„მტრის მეავტომატეთა ჯგუფი შემოიჭრა ქვეითთა განლაგებაში და ემუქრებოდა ფლანგს. გაიცა ბრძანება ამ ჯგუფის მოსპობისათვის. ჩვენი მებრძოლები კონტრიერიშზე გადავიდნენ.

მათ ეხმარებოდა უფროსი სერჟანტ ნეფარიძის ნაღმმტყორცნელთა გუნდი, რომელიც გაბედულად გავიდა ღია ცეცხლის პოზიციაზე და თავს დაატყდა მტრის დაჯგუფებას. ნაღმები ერთმანეთს მიჰყვებოდნენ. მტერმა ადგილი გადაინაცვლა ხევში, მაგრამ ჩვენი ნაღმები იქაც მისწვდა არამზადებს.

ამხ. ნეფარიძის ნაღმმტყორცნელთა გუნდი დაეხმარა მსროლელთა ქვეგანაყოფს კონტრიერიშს და მოსპო მტრის 20 ჯარისკაცი და ოფიცერი".

ამხ. შ. მაისაიას საბრძოლო წარმატება

№ წითელარმიულ გაზეთში უფროსი ლეიტენანტი პ. ნამჩევაძე უფროს სერჟანტ შ. მაისაიას საბრძოლო წარმატებაზე მოგვითხრობს:

„გათენებისას უფროსმა სერჟანტმა ამხ. შ. მაისაიამ ოცეული შეტევაზე გადაიყვანა, მტერმა გამაგრებული პოზიციის შენარჩუნების მიზნით განუწყვეტელი ცეცხლი გააჩაღა. ცდილობდა გრიგალისებური ცეცხლით გაეტეხა საბჭოთა მეომრების სიმტკიცე. მაგრამ უშედეგოდ. ოცეული მოხერხებულად იკავებდა ახალ-ახალ საცეცხლე პოზიციებს. მტერი ერთხელ კიდევ შეეცადა ტყვიამფრქვევის ცეცხლით გზა გადაეღობა ოცეულისათვის. მაშინ ამხ. მაისაიამ სწრაფად მოიმარჯვა ხელის ტყვიამფრქვევი, ნახევარი ჯერით მტრის საცეცხლე წერტი ჩააჩუმა და მკვეთრი შეძახილით: „წინ, საბჭოთა სოფლისათვის!" იერიშზე გადაიყვანა ოცეული. ამ სიმკვეთრეს მტერმა ვერ გაუძლო და ზურგი გვიჩვენა. იგი განდევნილ იქნა დასახლებული პუნქტიდან, ამასთან დიდი ზარალი მოუვიდა.

ამ საბრძოლო წარმატებისათვის ამხ. მაისაიას უმცროსი ლეიტენანტის წოდება მიენიჭა".

კიევი გერმანელების ოკუპაციის ერთი წლის შემდეგ

მოქმედი არმია, 19 სექტემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ფრონტის ხაზს გადმოაღწია კიეველმა მარიამ ზ-მ, რომელმაც ერთ წელიწადს იცხოვრა ფაშისტთა ტყვეობაში. ერთი წლის განმავლობაში, მოგვითხრობს იგი, კიევი მკვდარი, დაცარიელებული ქალაქი გახდა. კიევის ცენტრალური ქუჩები თითქმის სულ დანგრეულია. კრეშჩატიკის მარცხენა მხარეზე გადარჩენილია მხოლოდ თავდაცვის სახლი და რადიოკომიტეტის სახლი. მთელი დანარჩენი სახლები თვით დახურულ ბაზრამდე დანგრეულია. მთლიანი ნანგრევები დარჩა აგრეთვე მარჯვენა მხარეზე. ქალაქში ბევრია სახრჩობელა. ერთი მათგანი აღმართულია შიგ ცენტრში შევჩენკოს ბულვართან. მოსახლეობა სახრჩობელის მარყუჟების რაოდენობის მიხედვით წინასწარ გაიგებს ხოლმე, თუ რამდენ კაცს ჩამოახრჩობენ ამა თუ იმ დღეს. სიკვდილით დასჯა ყოველდღე ხდება. სიკვდილით დასჯით ჰიტლერელები ცდილობენ დააშინონ უკრაინის დედაქალაქის დარჩენილი მოსახლეობა.

ქალაქში დახურულია ყველა მაღაზია. ბაზრებში ვაჭრობა არ არის. დარჩა რამდენიმე სასაუზმე, რომლებიც მხოლოდ გერმანელებს ემსახურება.

კიევში ფაშისტთა თარეშის ერთი წლის განმავლობაში მკვეთრად შემცირდა მოსახლეობა. ათასობით მამაკაცი, ქალი, მათ შორის 15 წლის მოზარდი ქალიშვილები ძალით გარეკეს სამუშაოდ გერმანიაში. კიეველთა მნიშვნელოვანი ნაწილი ახლო-მახლო სოფლებში წავიდა. ახლა იშვიათად შეხვდება კაცი ქუჩაში გამვლელ-გამომვლელს. მათ შორის ძალიან ბევრია მათხოვარი. მძვინვარებს სხვადასხვა ეპიდემია, რაც სულ მცირე ნახევარ მოსახლეობას მოედო. რასაკვირველია, დაავადებულთ არავითარი საექიმო დახმარება არ ეძლევათ; არის ისეთი ბინები, სადაც მთელი ოჯახები ამოწყდა.

შეტაკება გაფარნვის შემდეგ

მოქმედი არმია, 18 სექტემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). საბჭოთა ავიაგამანადგურებლების ჯგუფი საბრძოლო დავალების შესრულების შემდეგ აეროდრომზე ბრუნდებოდა. ერთ-ერთ ფრონტისპირა ქალაქს რომ უახლოვდებოდნენ, მფრინავებმა შენიშნეს მტრის ბომბდამშენი, რომელიც ქალაქისაკენ მიემართებოდა. უფროსი სერჟანტი ბორის გომოლკო სწრაფად აფრინდა და დაუახლოვდა „ჰაინკელს". გაჩაღდა საჰაერო ბრძოლა, რომელიც პირველი იყო ახალგაზრდა პილოტის საბრძოლო პრაქტიკაში. გომოლკომ ტყვიამფრქვევის მარჯვე ჯერით ცეცხლი წაუკიდა მტრის თვითმფრინავს.

გომოლკომ სცადა გზა გადაეღობა მეორე „ჰაინკელისათვის" და შენიშნა, რომ საომარი მასალები გამოელია. მაშინ მამაცმა პილოტმა გადასწყვიტა გაეტარნა. გომოლკომ უაღრესი სისწრაფე განავითარა და თავისი თვითმფრინავის სიბრტყე დაარტყა „ჰაინკელს". მტრის მანქანამ დაშლა იწყო ჰაერში. ძლიერი დარტყმით დაწყდა ღვედები, რომლებითაც მფრინავი თვითმფრინავის საჯდომზე იყო მიკრული, და გომოლკო კაბინიდან გადმოვარდა. იგი თავისი პარაშუტის გახსნას აპირებდა, როცა შორიახლოს დაინახა ორი აბრეშუმის გუმბათი. ეს გერმანელი მფრინავები ეშვებოდნენ. მათთვის რომ გაესწრო, გომოლკომ მხოლოდ მაშინ გახსნა პარაშუტი, როცა მიწამდე 100 მეტრი რჩებოდა. მიწაზე რომ დაეშვა, მფრინავი ეძგერა ერთ-ერთ ჰიტლერელს, და როდესაც მან წინააღმდეგობა გაუწია, მოჰკლა იგი. მეორე გერმანელი მფრინავი შეიპყრეს საბჭოთა მებრძოლებმა, რომელთაც ამ ამბავს მოუსწრეს. ფრონტის სამხედრო საბჭოს ბრძანებით გომოლკო დაჯილდოებულია ლენინის ორდენით ოსტატობისა და მამაცობის გამოჩენისათვის.

პიერ კოტის განცხადება

ნიუ-იორკი, 19 სექტემბერი (საკდესი). საფრანგეთის ავიაციის ყოფილმა მინისტრმა პიერ კოტმა „ომში საბჭოთა კავშირისათვის დახმარების კომიტეტის" მიერ მოწყობილ მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში დემოკრატიულ მთავრობებს მოუწოდა დაუყოვნებლივ გახსნან მეორე ფრონტი, ევროპაში. დაყოვნება,—სთქვა მან,—შეიძლება საბედისწერო შედეგი მოჰყვეს. იმათი საპუთების პასუხად, ვინც ფიქრობს, რომ გერმანია შეიძლება მარტო ავიაციით იქნეს განადგურებული, პიერ კოტმა განაცხადა: გერმანიის ავიაცია 1940 წელს ოთხჯერ-ხუთჯერ უფრო ძლიერი იყო ინგლისისაზე და ინგლისი მაინც ვერ გაანადგურეს.

პიერ კოტმა გაიხსენა, რომ მსოფლიო ომის დროს რუსებმა იერიში მიიტანეს გერმანელებზე აღმოსავლეთში, როცა ფრანგებს არ ძალუძდათ გერმანიის შეტევის შეჩერება, და ამით რუსებმა გადაარჩინეს საფრანგეთის არმია. მეორე ფრონტი სარისკო და ძნელი ღონისძიებაა, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ ამ ფრონტის გაუხსნელობა კიდევ უფრო სარისკოა. ძნელია სტალინგრადისა და კავკასიის დაცვა, მაგრამ წითელმა არმიამ და რუსმა ხალხმა იციან, როგორ უნდა ბრძოლა. დასასრულ პიერ კოტმა განაცხადა: „ამერიკელო ხალხო, შენი პირველი მოვალეობა არის დახმარება რუსი ხალხისადმი, რომელიც შენი თავისუფლებისთვისაც იბრძვის".

მდგომარეობა მადაგასკარზე

ლონდონი, 19 სექტემბერი (საკდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, ვიშის მთავრობის წარმომადგენლებმა მადაგასკარზე უარი სთქვეს მიიღონ დროებითი ზავის ინგლისის პირობები, თუმცა, როგორც ლონდონში აღნიშნავენ, ისინი მხოლოდ კაპიტულაციის შესახებ მოთხოვნას შეიცავდნენ და კუნძულების მომავალი მართვა-გამგეობის საკითხს არ შეეხებოდნენ.

ნოვოროსიისკში მოკლეს გერმანელი გენერალ-მაიორი ალბერტ ბუკი

ბერლინში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ნოვოროსიისკის რაიონში მძიმე ბრძოლების დროს მოკლულ იქნა გერმანელთა დივიზიის მეთაური გენერალ-მაიორი ალბერტ ბუკი. (საკდესი).

ჟიულ ბლონდელი გენერალ დე გოლს შეუერთდა

ვიშის მთავრობის დესპანი სოფიაში ჟიულ ბლონდელი გადადგა, რათა გენერალ დე გოლს შეუერთდეს. (საკდესი).

რუმინეთის მოსახლეობას პურის მაგიერ ეძლევა სუროგატი, რომელიც არ იჭმევა

სტამბოლი, 19 სექტემბერი (საკდესი). რუმინული გაზეთები აღიარებენ, რომ პური, რომელიც მოსახლეობაზე იყიდება, იმდენად დაბალი ხარისხისაა, რომ მისი ჭამა საშიშია ჯანმრთელობისათვის. რუმინული გაზეთი „ტურენტული" სწერს: „ყველაზე დიდმა საფუნთუშეებმაც ისეთი პურის ცხობა დაიწყეს, რომ თითქმის შეუძლებელია მისი ჭამა. პური წებოვანია, წონა მძიმე აქვს და მისი გული კუჭის ტკივილს იწვევს". სხვა რუმინული გაზეთები იუწყებიან, რომ გახშირდა დაავადებათა შემთხვევა არაკეთილხარისხოვანი პურის ხმარების გამო.

ლუქსემბურგში სამხედრო-საველე სასამართლოები მძვინვარებენ

ლონდონი, 19 სექტემბერი (საკდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, ლუქსემბურგში საყოველთაო გაფიცვასთან დაკავშირებით გერმანელებმა სამხედრო-საველე სასამართლოების საქმიანობა გააძლიერეს. მრავალი მუშა უკვე დასაჯეს სიკვდილით. სამხედრო-საველე სასამართლოებს განუწყვეტლივ გამოაქვთ განაჩენები გაფიცვაში მონაწილეობის საქმეებზე. ამ სასამართლოებში სასამართლო პროცედურა მეტად გამარტივებულია და მხოლოდ იმით გამოიხატება, რომ ბრალდებულისათვის სასიკვდილო განაჩენი გამოაქვთ. ბრალდებულებს აპელაციის უფლება არა აქვთ.

ჩაიფუშა ჰიტლერელთა ვარაუდი ოკუპირებული საბჭოთა რაიონების რესურსებზე

ჟენევა, 19 სექტემბერი (საკდესი). ჰიტლერული პრესა და ჰიტლერელი მოხელეები, რომლებიც სსრ კავშირის ოკუპირებულ რაიონებში იგზავნებიან მათი გაძარცვის მოსაწყობად, სულ უფრო ხშირად აღიარებენ, რომ ჩაიფუშა გერმანელთა ვარაუდი ამ რაიონების რესურსებზე. ჰიტლერელთა გაზეთი „მიუნხენერ ცაიტუნგი", რომელიც მიუნხენში გამოდის, აცხადებს, რომ „ბელორუსიის ეკონომიური ცხოვრება საესებით შეჩერებულია" და რომ გლეხები ფუშავენ ჰიტლერელთა ბრძანებების შესრულებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჩაბარების შესახებ. გაზეთის ცნობით, გერმანელებმა, გლეხთა წინააღმდეგობის ჩახშობის მიზნით, მოაწყეს ეგრეთწოდებული სასოფლო-სამეურნეო პოლიცია, რომელიც უმაგალითო სისასტიკით უსწორდება ბელორუს გლეხებს. მაგრამ უწესობა და ტერორი, რასაც ეს პოლიცია აწარმოებს, შედეგებს არ იძლევა. ბელორუსიაში იზრდება სიძულვილი გერმანელებისადმი. „ამ წლების განმავლობაში,—სწერს გაზეთი,—გერმანელებს მოუხდათ ყოფნა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, მაგრამ არასოდეს არ მომხდარა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ისე მკვეთრად ერიდებოდეს გერმანელებთან თანამშრომლობას, როგორც ბელორუსიაში".

იგივე გაზეთი სჩივის, რომ „მავნე ელემენტების" მოქმედებით „შეუძლებელია მშვიდობიანობის აღდგენა ბელორუსიაში" და „პოლიციაში მომუშავე „ს"-ელებს უხდებათ მუდამ ფრთხილად ყოფნა, რათა დაიცვან გერმანელთა ზურგი პარტიზანებისაგან, რომლებიც გერმანელთათვის ზურგში ხანჯლის ჩაცემის ტაქტიკას იყენებენ".

გერმანელები მხეცურად აწამებენ საბჭოთა მოქალაქეებს

ლონდონი, 19 სექტემბერი (საკდესი). ლონდონის ნორვეგიულ წრეებში მიღებულია ცნობები საბჭოთა სამოქალაქო მოსახლეობისათვის ნევერდალში გამართული ბანაკის მდგომარეობის შესახებ. ბანაკში მოთავსებული არიან 12-16 წლის ან 50 წლისაზე მეტი ასაკის პირნი. მათ მხეცური სიმკაცრით ეპყრობიან. ბანაკის გერმანელი მცველები პ. ტიმრებს შოლტავენ. დაპატიმრებულთ გზების მშენებლობასა და სხვა მძიმე სამუშაოზე იყენებენ.

სიკვდილით დასჯა ჩეხოსლოვაკიაში

ლონდონი, 19 სექტემბერი (საკდესი). იმ ცნობათა თანახმად, რომლებიც მიღებულია ლონდონის ჩეხური წრეების მიერ, გერმანელი ოკუპანტები ცდილობენ მოსპონ ჩეხოსლოვაკიის გენერალური შტაბის ყველა უფროსი ოფიცერი. ყოველდღე ხდება საიდუმლოდ სიკვდილით დასჯა. იმისათვის, რომ მოსახლეობა არ გააღიზიანონ, არც რადიო და არც პრესა ამაზე არაფერს ამბობენ. აგვისტოში პრაღის გაზეთებს ნება დართეს გამოეცხადებინათ 82 სიკვდილით დასჯილის გვარი, რომელთა უმეტესობა სამოქალაქო პირები არიან. სექტემბერში ჯერჯერობით გამოქვეყნებულია 51 გვარი. ლონდონის ჩეხოსლოვაკურ წრეებში აცხადებენ, ფაქტიურად სიკვდილით დასჯილთა რიცხვი გაცილებით მეტია. მსხვერპლთა შორის ბევრია გენერალური შტაბის უფროსი ოფიცერი და არმიის მეთაური.

პარიზში დახვრიტეს 116 მძევალი

გერმანელთა სარდლობა საგანგებო ღონისძიებებს ხმარობს მოსალოდნელ საპროტესტო დემონსტრაციებთან დაკავშირებით

ჟენევა, 19 სექტემბერი (საკდესი). ჰავასოფის სააგენტო პარიზიდან გადმოგვცემს, რომ იქ გამოქვეყნებულია გერმანელთა საოკუპაციო ჯარების სარდლის შემდეგი ბრძანება:

„გერმანელ ჯარისკაცებზე თავდასხმებთან დაკავშირებით, მე ვბრძანე რეპრესიის სახით დახვრიტონ 116 კაცი, რომელთა მიმართ საფუძველი გვაქვს ეჭვი შევიტანოთ, რომ ისინი ამ თავდასხმების თანამონაწილენი არიან. გარდა ამისა, მიღებულია ზომები პარიზიდან მთელი რიგი პირების გადასასახლებლად, რათა თავიდან ავიშოროთ ინციდენტები იმ დემონსტრაციების შემთხვევაში, რომლებიც დანიშნულია 1942 წლის 20 სექტემბრისათვის, ვბრძანებ შემდეგს: 1942 წლის 19 სექტემბრის 15 საათიდან ყველა თეატრი, კინო, კაბარე და სხვა გასართობი დაწესებულებანი, რომლებიც განკუთვნილია ფრანგი მოსახლეობისათვის სენის, სენისა და უაზის, სენისა და მარნის დეპარტამენტებში, დახურული იქნება. აკრძალულია ყოველგვარი საჯარო წარმოდგენა, სპორტულ შეჯიბრებათა ჩათვლით; 1942 წლის 20 სექტემბერს, კვირას, სენის, სენისა და უაზის და სენისა და მარნის დეპარტამენტებში არაგერმანელ მოქალაქეებს 15 საათიდან ეკრძალებათ ქუჩებში მოძრაობა და საჯარო ადგილებში ყოფნა. გამონაკლისი დაშვებულია იმ პირთათვის, რომლებიც ოფიციალურ ორგანოებს წარმოადგენენ. აღნიშნული დღიდან წინათ გაცემული ღამის საშვებები არ იძლევიან ქუჩებში მოძრაობის უფლებას. დიდი პარიზის კომენდანტს, აგრეთვე სენის, სენისა და უაზის და სენისა და მარნის დეპარტამენტების საველე კომენდატურებს შეუძლიათ მოძრაობის ნებართვის მიცემა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში".

ჟენევა, 19 სექტემბერი (საკდესი). საფრანგეთიდან მიღებული ცნობების თანახმად, საფრანგეთის გერმანელთა საოკუპაციო ჯარების სარდლის ბრძანება 116 მძევლის დახვრეტის შესახებ იმით არის გამოწვეული, რომ ჰიტლერელები შიშობენ, რომ შესაძლებელია მასობრივი პატრიოტული დემონსტრაციები მოეწყოს 20 სექტემბრის დღესო.

20 სექტემბერს სრულდება ვალმის ბრძოლის 150 წლისთავი, როდესაც 1792 წელს ახალგაზრდა რევოლუციური საფრანგეთის ჯარები პირველად შეხვდნენ ოკუპანტ პრუსიელებს და დაამარცხეს ისინი.

პარიზიდან იუწყებიან, რომ 116 ფრანგი პატრიოტის დახვრეტის შესახებ ბრძანების გამოქვეყნება დაემთხვა ლავალის იქ ჩასვლას. საოკუპაციო ხელისუფლებმა ეს ბრძანება ლავალს შეუთანხმეს.

ფინეთი ახალი მშიერი ზამთრის კარზეა

სტოკჰოლმი (საკდესი). ფინეთის პრესა განგაშს სტეხს თავისი ქვეყნის სასურსათო მდგომარეობის გამო, რომელიც სულ უფრო და უფრო უარესდება. გაზეთი „სუომენ სოციალდემოკრაატი" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზაფხულში, მიუხედავად ბოსტნეულის ერთგვარი რაოდენობის აღებისა, ბევრი სამრეწველო ქალაქის, მათ შორის ჰელსინკისა და ტამერფორსის სურსათი არა თუ არ გაუმჯობესდა, არამედ კიდევ უფრო გაუარესდა. თევზის ყიდვაც კი, რაც კვების ერთ-ერთ ძირითად პროდუქტს წარმოადგენს, ახლა შეუძლებელია.

2 სექტემბერს ჰელსინკის დამშეული მოსახლეობის დელეგაცია მომარაგების სამინისტროში მივიდა და მოითხოვა საგანგებო ღონისძიებათა მიღება ისეთი [illegible] კატასტროფის თავიდან ასაცილებლად, როგორიც ზამთარში იყო ქალაქში.

პრესა ამტკიცებს, რომ ფინეთში გაჰქრა ის პროდუქტებიც კი, რომელთა მარაგიც ამას წინათ კიდევ იყო. მაგალითად, გაზეთ „ილკას" განცხადებით, ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ ფინეთში იყო სახარინის მარაგი, ახლა კი იგი არსად აღარ არის.

რქიანი პირუტყვის სულადობამ ფინეთში ომის განმავლობაში სულ 25 პროცენტით იკლო. პირუტყვთა რიცხვის სამი მეოთხედი დარჩა, მაგრამ მოსახლეობა, მიუხედავად ამისა, რძისა და ხორცის პროდუქტების უმცირეს ნორმას იღებს. სადღა გაჰქრა ეს პროდუქტები? კითხულობს გაზეთი „სუომენ სოციალდემოკრაატი" და ვერ ბედავს პირდაპირ განაცხადოს, რომ მთელი [illegible] ფინეთიდან გერმანიაში გააქვთ. პრესა განსაკუთრებული შეშფოთებით ლაპარაკობს მომავალი ზამთრის მომარაგების პერსპექტივებზე. გაზეთი „პოდჰიოლან სანომატი" სწერს: „იმის წარმოდგენაც კი შეუძლებელია, რომ შარშანდელი ზამთრის უნუგეშო მდგომარეობა კვლავ განმეორდეს, ვინაიდან მოსახლეობის ამტანობას გარკვეული საზღვარი აქვს". გაზეთი პირდაპირ გაფრთხილებას იძლევა, რომ „შინაური ფრონტი" ვერ გაუძლებს, თუ ქალაქების მოსახლეობა მინიმალურად მაინც არ იქნა უზრუნველყოფილი კარტოფილითა და პურით. ამასთან ერთად გაზეთი გულხდილად აღიარებს, რომ მდგომარეობის გაუმჯობესების იმედი არ არის, ვინაიდან სოფლებიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიწოდება განუწყვეტლივ კლებულობს.

ჰიტლერელთა გაზეთები აღიარებენ ეკონომიური ნგრევის გაძლიერებას საფრანგეთში

ჟენევა (საკდესი). ჰიტლერელთა გაზეთები აღნიშნავენ, რომ საფრანგეთის ეკონომიური მდგომარეობა განუწყვეტლივ უარესდება. მაგალითად, გაზეთი „ბერლინერ ბერზენცაიტუნგი" სწერს, რომ მოსახლეობას ბარათებითაც კი არ ეძლევა პროდუქტები.

ჰიტლერელთა მეორე გაზეთის — „პარიზერ ცაიტუნგის" სიტყვით, „საფრანგეთში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომელიც უდავოდ მოითხოვს ენერგიულ ღონისძიებებს". გაზეთი აღნიშნავს, რომ დღითიდღე იზრდება ინფლაციის საფრთხე და რომ მოსახლეობის საარსებო დონემ კატასტროფულად დაიწია.

საფრანგეთის ასეთი მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, ჰიტლერელები მისი ეკონომიკის ნგრევას განაგრძობენ.

გაზეთმა „პარიზერ ცაიტუნგმა" გამოაქვეყნა განცხადება ვიშის მთავრობის სამრეწველო წარმოების საკითხების გენერალური მდივნის—ბიშელონისა. ბიშელონმა განაცხადა, რომ „საფრანგეთში უკვე 4.000-მდე საწარმო დაიხურა და ახლო მომავალში ახალ საწარმოთა ლიკვიდაცია მოხდება. მათი მუშახელი გერმანიაში გაიგზავნება". ბიშელონმა განაცხადა აგრეთვე, რომ გერმანიაში უკვე გაგზავნილია 42.000 მუშა, მეტწილად მელითონეები. მყარდება კავშირი გერმანიისა და საფრანგეთის მძიმე მრეწველობის საწარმოთა შორის, ამასთან ეს „კავშირი", ბიშელონის სიტყვით, იმაში მდგომარეობს, რომ „გერმანელების სურვილისამებრ, საფრანგეთის საწარმოები თავიანთ პერსონალს აძლევენ მათ".

ჰიტლერული გაზეთი „კრაკაუერ ცაიტუნგი" აღიარებს, რომ ფრანგი მუშები ეწინააღმდეგებიან გერმანიაში მათს გაგზავნას.

ირაკლი აბაშიძე

კაპიტანი ბუხაიძე

მე ქართველი ბუხაიძე
ბალყარეთის მთებთან ვწევარ,
რომ შემეძლოს საფლავიდან,
ძმებო, მხრების წამოწევა,

მე სიცოცხლეს ხელმეორედ
შევწირავდი მშობელ მხარეს,
შევწირავდი იმავ მიწას
დღეს რომ გულზე დამაყარეს.

ვინც დამხედოთ, გადაეცით
საქართველოს მთებს და ველებს,
რომ მისი ძე ბუხაიძე
აქა ველოდი სისხლის მმძლებს.

არ ვუშვებდი დარიალთან
გაავთრებულ ყვითელ გველებს,
მე საფლავში არა ვწევარ —
აქ დარაჯად დამაყენეს.

და ვუბარებ ყოველ ქართველს —
მისი წმინდა ვალი არი,
მოკვდეს, მაგრამ მკერდით შეჰკრას
დერბენტი და დარიალი.

მოქმედი არმია.
სამხრეთი

სამხრეთისათვის!

გერმანელები რჟევში ნერვიულობენ. გერმანელთა მე-9 არმიის სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი მოდელი თავის ბრძანებაში სწერს: „მე კვლავ მივიღე მე-9 არმიის სარდლობა თავდაცვითი ბრძოლების მძიმე დღეებში... მე ვიცი, რომ ფიურერი ფიქრით მუდამ ჩვენთან არის, მიუხედავად იმისა, რომ იგი ამჟამად ბევრს მუშაობს სამხრეთით შეტევის ხელმძღვანელობაზე".

შემდეგ გენერალი მოდელი ამბობს, რომ ჰიტლერმა „რაინდის ჯვრებით" დააჯილდოვა 161-ე და 328-ე დივიზიების მეთაურები.

გენერალი ფონ ბეტნერი რამდენადმე უფრო გულახდილია: იგი განმარტავს, ფიურერი ფიქრით რატომ მიფრინავს მოზდოკიდან რჟევში და რატომ ურიგებს ჯვრებს დამარცხებული დივიზიების მეთაურებს. გენერალ ფონ ბეტნერი სწერს: „თუმცა ვიცი, რომ ცხრა დღის ბრძოლები ახალგაზრდობის ძალებს აღემატება, მე იძულებული ვარ მოვითხოვო სიმტკიცე და მედგრობა. არ შეიძლება დავუშვათ, რომ ფიურერმა გადამწყვეტ დღეებში სამხრეთიდან წამოიყვანოს დამკვრელი დივიზიები, რათა იხსნას მდგომარეობა აქ. მე მოველი, რომ „ფიურერის კორპუსის" ადამიანები განიმსჭვალებიან ერთი აზრით: ჩვენ ვეხმარებით ჩვენს ფიურერს მიაღწიოს გამარჯვებას სამხრეთში და ამით ომში გამარჯვებას... ვწუხვარ, რომ მე არ შემიძლია აღმოგიჩინოთ დახმარება, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ჯგუფი 83 გაუძლებს. მე არ შემიძლია პირადად ჩამოვიდე თქვენთან და გწერთ ამ წერილს. ახლა ყველაზე უფრო მეტად მაფიქრებს კ 84 ჯგუფისა და კ 152 ჯგუფის მდგომარეობა. მოვითხოვ ყველა საშუალებით ეცადოთ არ ასცდეთ ფელდმარშალ კესლერის მიერ მოცემულ ხაზს და მოიშოროთ შეცდომები და თვითდამშვიდება, ვინაიდან ჩვენ უმძიმეს დროს განვიცდით. მე მოვითხოვ შეაიარაღოთ ყველა, ჩასანგრდეთ მიწაში, უკან არ დაიხიოთ და მერყეობა არ გამოიჩინოთ, არ დასთმოთ არცერთი მტკაველი მიწა..."

აი რა აშინებს ფიურერს: ჩვენი მებრძოლები რჟევთან ეხმარებიან სტალინგრადის დამცველებს. გენერალი ფონ ბეტნერი მოუწოდებს გერმანელებს არ დასთმონ არცერთი მტკაველი ნაქურდალი მიწა. მაგრამ გერმანელი ჯარისკაცები ნერვიულობენ. გენერალ ფონ ბეტნერს გარდა არსებობენ რუსული ყუმბარები, ბომბები და ნაღმები.

ჩვენ ხელთ ჩავიგდეთ დედანი გერმანელთა მე-14 მოტოდივიზიის შტაბის უფროსის ლაპარაკისა რადიოთი ერთ-ერთი პოლკის მეთაურთან. აი რას ვკითხულობთ ამ ჩანაწერში: ეს-ეს არის ველაპარაკე გენერალ ბუშს (მე-14 მოტოდივიზიის მეთაური). იგი მოითხოვს ერთხელ კიდევ განემარტოს ყველა ოფიცერსა და ჯარისკაცს, რომ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, შევინარჩუნებთ თუ ვერა ამ პოზიციებს. გენერალს კარგად ესმის ჩვენი მდგომარეობა, რომლის შეცვლაც მას ამჟამად არ ძალუძს. მე იმედი მაქვს, რომ ოფიცრები მტკიცედ იყოლიებენ ხელში თავიანთ ქვეგანაყოფებს და არ დაუშვებენ პანიკას, რომლის დროსაც მდგომარეობა კიდევ უფრო უარესი აღმოჩნდება, ვიდრე არის".

მე-14 მოტოდივიზიის მეთაურის მოწოდება უშედეგოდ დარჩა. მე-14 მოტოდივიზიაში შემავალი 53-ე მოტოპოლკის მეთაური საიდუმლო ბრძანებაში აღიარებს: „ის გარემოება, რომ შევსება ახალგაზრდა და ახალი ნასწავლია, პოლკისათვის უდიდეს საშიშროებას წარმოადგენს. არსებობს იმის საფრთხე, რომ პოლკი დაჰკარგავს მოვალეობის გრძნობას და გაიხრწნება. ამას სხვადასხვა ნიშანი გვიჩვენებს. მაგალითად, 7 აგვისტოს მე-5 ასეულის მსროლელმა სთქვა: „მოწინავე ხაზზე ყველას საშინლად მობეზრდა". მე-6 ასეულიდან სამი კაცი უკვე გაიქცა მოწინააღმდეგესთან".

გერმანელი გენერლები აფრთხილებენ თავიანთ ხელქვეითებს: „მოიშორეთ შეცდომები და თვითდამშვიდება". რომელ შეცდომებზე ლაპარაკობს ფონ ბეტნერი? რომელ თვითდამშვიდებაზე? გენერალი შიშობს, ფრიცებმა არ დაუჯერონ გერმანულ გაზეთებს, რომლებიც სწერენ წითელი არმია მოსპობილიაო. გენერალს ეშინია—ვაი თუ ფრიცებმა წაიკითხონ ჰებელსის მორიგი ვარჯიში და გული დაიმშვიდონო, მაგრამ ფრიცებს ემუქრება არა თვითდამშვიდება, არამედ ის პანიკა, რომელზეც შტაბის უფროსი ლაპარაკობს.

გერმანელები კარგად გამაგრდნენ. გერმანელებს აქვთ იარაღიც და დისციპლინაც. გერმანელებს ნაბრძანები აქვთ თავი დაიცვან, მაგრამ ჩვენი მებრძოლები მაინც უტევენ. 14 აგვისტოს გერმანიის მე-6 საარმიო კორპუსის სარდალმა გასცა ბრძანება: „რადაც არ უნდა დაგიჯდეთ შეინარჩუნეთ აეროდრომის რაიონი რჟევთან". ბრძანება ხელმოწერილი და წაკითხული იყო. იგი ჩვენმა მებრძოლებმა რჟევთან მდებარე აეროდრომის რაიონში იპოვნეს...

ჩვენ არ გვახასიათებს „გზის აბნევა და თვითდამშვიდება". ჩვენთვის ცხადია ერთი: გერმანელებს ეს ოპერაციები არ მოსწონთ. გერმანელები რჟევში სამხრეთს იგონებენ. არც ჩვენ გვავიწყდება სამხრეთი. მივეშველოთ მებრძოლებს, რომლებიც სტალინგრადს, გროზნოს გზას, კავკასიის მთაგრეხილს იცავენ! — ეს გრძნობა ამოძრავებს მრავალი ჩვენი ფრონტის მებრძოლებს. მებრძოლებისათვის სიტყვები—„ურთიერთის მიშველება" — წმიდათა-წმიდა სიტყვებია, ისინი დაწერილია არა მელნით, არამედ სისხლით.

რჟევთან და ვიაზმასთან წარმოებული ბრძოლები აღაფრთოვანებენ მებრძოლებს სხვა ფრონტებზე. სამხრეთის დაცვა შეიძლება არა მარტო სამხრეთში. ყოველი წინწადგმული ნაბიჯი— კავკასიისათვის დახმარების გაწევაა. ყოველი მოკლული გერმანელი — სტალინგრადისათვის სამსახურის გაწევაა.

„ჩვენი სამხრეთისათვის"—დაე ამ სიტყვებმა ცხელი ქარივით გადაუქროლონ ფრონტს ჩრდილოეთის ჭაობებიდან ვორონეჟის ველებამდე. ჩვენი სამხრეთისათვის — დავცხოთ გერმანელებს!

ილია ერენბურგი
(„კრასნაია ზვეზდა").

საბოტაჟი კრუპის ქარხნებში

ვოლხოვის ფრონტი, 19 სექტემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). გერმანიის არმიის 28-ე ეგერთა დივიზიის 83-ე ეგერთა პოლკის მე-2 ბატალიონის მე-6 ასეულის სამხედრო ტყვე ჯარისკაცმა ობერ-ეფრეიტორმა ბერტრან შრამმა დაკითხვის დროს განაცხადა:

„კრუპის ქარხანაში, სადაც მე ვმუშაობდი, ამჟამად გერმანელთაგან მხოლოდ ოსტატები და სპეციალისტები დარჩნენ. ყველა დანარჩენი აღმოსავლეთის ფრონტზე გაგზავნეს. ქარხანაში ახლა მუშაობენ ფრანგები, ბელგიელები, პოლონელები და სხვა ეროვნებათა მუშები. მუშაობენ აგრეთვე რუსი სამხედრო ტყვეები და გერმანიაში წაყვანილი სამოქალაქო მცხოვრებნი.

უცხოელი მუშების უმეტესობა ბადრაგით მოჰყავთ სამუშაოზე. მე ვიცი კრუპის ქარხანაში საბოტაჟის შემთხვევები. ამას წინათ ბრძმედში დნობის წინ წყალი მოხვდა, რასაც შეეძლო მძიმე შედეგი გამოეწვია. დაიწყო კვლევა-ძიება, მაგრამ დამნაშავე ვერ იპოვნეს".

ს. ალექსეევი

ახალი საფოსტო მარკები

კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატი უახლოეს ხანში უშვებს რამდენიმე ახალი სერიის საფოსტო მარკას. ერთი მათგანი მიძღვნილია ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის სამამულო ომისადმი, მეორე — დიდი რუსი მეზღვაურის ვ. ბერინგის გარდაცვალების 200 წლის თავისადმი. ყოველ სერიას რამდენიმე ნახატიანი მარკები აქვს. ოქტომბრის პირველ რიცხვებში სახმარად გამოვა მარკები, რომლებზედაც გამოხატული იქნებიან საბჭოთა კავშირის გმირები გასტელო, ტალალიხინი და დოვატორი. (საკდესი).

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. და 26 კომ. სახ.—„ხიდი". **ოქტომბერი, კომკავშირელი და სპარტაკი** — „გიორგი სააკაძე", **დამკვრელი** — „საბრძოლო კინოკრებული № 8", **ლუქსემბურგის სახ.** — „მეზღვაურის ქალიშვილი", **კომინტერნი** — „კენდლლიარ", **მეცნიერება და ცოდნა** — „პარტიზანის ქალიშვილი".

თეატრებში

სახოპერა — 22 სექტემბერს — „ხევისბერი დალაქი". **რუსთაველის სახელობის** — 22 სექტემბერს — „სხვისთვის სულელი, თავისთვის ჭკვიანი". **მარჯანიშვილის სახელობის** — 22 სექტემბერს — „ინჟინერი სერგეევი". **გრიბოედოვის სახელობის** — 22 სექტემბერს — „ცოვა და ავი ძაღლი". **სომხური თეატრი** — 22 სექტემბერს — „ნამუსი". **ახუნდოვის სახელობის** — 22 სექტემბერს — „ახლო და ქერიმი". **მუსიკალური კომედიის** — 22 სექტემბერს — „საქორწინო მოგზაურობა". **სანკულტურის** — 22 სექტემბერს — „ხალხის რჩეული". **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — 22 სექტემბერს — „რომეო და ჯულიეტა". **მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი** — 22 სექტემბერს—„სახლი გორაკზე". **მოზარდ მაყურებელთა სომხური თეატრი** — 22 სექტემბერს — „ორი ბატონის მსახური".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საბჭოთა ვაჭრობის სრულიად-საკავშირო დაუსწრებელი ინსტიტუტის („ვზისტ") საქართველოს ფილიალი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1942-43 სასწავლო წლისათვის.

ინსტიტუტს აქვს სამი ფაკულტეტი: სააღრიცხვო-ეკონომიური, სავაჭრო-ეკონომიური და საქონელმცოდნეობისა — ქართულ-რუსული სექტორებით.

ინსტიტუტი წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ამზადებს უმაღლესი კვალიფიკაციის ეკონომისტებს სავაჭრო განხრით (ეკონომისტ-ფინანსისტებს, ეკონომისტ-მეგეგმავებს და საქონელმცოდნეებს).

ინსტიტუტის სტუდენტს საშუალება ეძლევა იცხოვროს ქ. თბილისის გარეთაც, რაიონში და იქ სამსახურთან შეათავსოს სწავლა.

თბილისში მცხოვრებ სტუდენტებთან სისტემატურად ეწყობა ლექცია-კონსულტაციები, რაიონში მცხოვრებთათვის ე. წ. ლაბორატორიულ-საგამოცდო სესიები.

ჩარიცხვისას უპირატესობით სარგებლობენ სახვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის დარგში პრაქტიკულად მომუშავეები.

ინსტიტუტში შემომსვლელი სარგებლობს ყველა იმ შეღავათით, რაც დაწესებულია უმაღლესი სკოლების საქმეთა კომიტეტის მიერ (ფრიადოსანთა, კარგოსანთა და 1941 და 1942 წლებში საშუალო სკოლა დამთავრებულთა უგამოცდოდ მიღება და სხვ.). ეს უფლებები ვრცელდება მოზრდილთა და ექსტერნატის წესით საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებზეც.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ფილიალის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: ა) ავტობიოგრაფია, ბ) ატესტატი საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ (დედანი), გ) ოთხი ფოტოსურათი (3X4 სმ.) და პასპორტი (თბილისში მცხოვრები წარადგენს პირადად, რაიონში მცხოვრები ადგენს დამოწმებულ პასპორტის ნომერს და ვისგან არის გაცემული).

ინსტიტუტის დირექცია დროებით მოთავსებულია ვაჭრობის სახალხო კომისარიატის შენობაში, თბილისი, ჯაფარიძის ქ. № 4, III სართული, ოთახი № 43, ტელ. № 3—56—25.

ცნობების მიღება ინსტიტუტში ჩარიცხვის შესახებ შეიძლება ყოველდღე საღამოს 6-დან 9 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა.

სწარმოებს უფროსი კურსის სტუდენტების, როგორც ფილიალის, ისე სხვა ეკონომიური უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტის უფლებებში აღდგენა.

214 ფილიალის დირექტორი დოც. ბ. ბურბენიძე

საქ. ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი იუწყება ლაითურის ჩაის მეურნეობის მთავარი აგრონომის ვახტანგ ჭეიშვილის ძმის

აბესალომ ალექსის-ძე ჭეიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 20/IX, სოფ. ახკანაში (მახარაძის რაიონი). 1181

საქ. ადგილობრივი მრეწველობის თბილისის სამშენებლო კანტორა იუწყება ამავე კანტორის ყოფილი თანამშრომლის ინჟინერ ჩიტო მეძმარიაშვილის მამის

ალექსანდრე ონისიმეს-ძე მეძმარიაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 20/IX, 1 ს. ნიკოლაძის ქ. № 24, დაკრძალვა ვერის დახურულ სასაფლაოზე. 1182

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. უე 9773